საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კომბოსტო

თავიანი კომბოსტო

კომბოსტო (ლათ. Brassica), მცენარის გვარი ჯვაროსანთა ოჯახისა (ახლანდ. კლასიფიკაციით –BBrassicaceae-ს ოჯახი). მიეკუთვნება ერთ-, ორ-, ან მრავალწლოვან მცენარეთა ჯგუფს. აქვს თითისტარისებრი ფესვი, სწორი ან ნახევრად წამოწეული დატოტვილი ღერო, მორიგეობით განლაგებული ფოთლები, ღერო და ფოთოლი შიშველი ან შებუსულია, ყვავილები – მტევნებად ან ფარებად შეკრებილი, გვირგვინის ფურცლები ყვითელია; თესლი – სფეროსებრი; ფერად მუქი მურა, მომიხაკისფრო, მოწითალო-მურა ან ყვითელია. კ-ს გვარში 100-ზე მეტი სახეობაა. სამშობლოდ ითვლება ჩინეთი და ხმელთაშუაზღვისპირეთი. ველური ფორმები გავრცელებულია ევრაზიაში. კულტ. სახეობებია: ბოსტნისა და საკვები კ., მიწამხალა, რაფსი, თალგამი, შალგი, მდოგვი და სხვ. ბოსტნისა და საკვები კ-ს ჯგუფში შედის ბოსტნის კ., ჩინური კ., პეკინური კ. კ-ს ყველა სახეობა, ყვავილოვანი და პეკინური კ-ს გარდა, ორწლიანი მცენარეა.

კ-ს იყენებენ ნედლად, ხარშავენ, შუშავენ, ამწნილებენ, ამარილებენ, აშრობენ, ყინავენ და სხვ. იგი შეიცავს ნახშირწყლებს, ცილებს, მინერალურ მარილებს, ვიტამინებს (C, B ჯგუფის და სხვ.). აქვს დიეტური და სამკურნ. თვისებები. კ. სსრკ-ში გვხვდბოდა ყველგან. სამეურნეო მნიშვნელობით გამოირჩეოდა თავიანი კ., რ-იც წარმოდგენილი იყო შემდეგი ჯიშებით. პირველი ნომერი, ოქროს ჰექტარი, ბელორუსული 455 და სხვ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი გავრცელებულია ხარისგულა, ღანირული ხარისგულა, დარუბანდული ადგილობრივი, გორული ბრაუნშვაიგი, ქართული (მესხური) ბერბუკულა და სხვ. საყუათო ნივთიერებების შემცველობით და საგემოვნო თვისებების მხრივ განსაკუთრებით მდიდარია ყ ვ ა ვ ი ლ ო ვ ა ნ ი კ. მისი ჯიშებია: მოსკოვური საკონსერვო, სნეჟინკა, ადრეული, სამამულო და სხვ. კოლრაბის (ბოსტნის კ-ს სახესხვაობა) თალგამისებრად გამსხვილებულ ღეროს იყენებენ ნედლად, შემწვარს და მოშუშულს. მისი მსგავსია საქართველოში გავრცელებული კეჟერა კ., რ-იც მრავალნაირი ფორმით გვხვდება, განსაკუთრებით ქვეყნის სუბტროპიკულ ზონაში. ფ ო თ ლ ო ვ ა ნ კ-ს იყენებენ საკვებად და დეკორ. მცენარედ. იგი ზ. დ. 1800–2000 *მ* სიმაღლემდე ხარობს. ტენისა და სიგრილის მოყვარულია, გამოირჩევა ყინვაგამძლეობით. საქართველოს დაბლობში შემოდგომაზე დარგული კ. ადრეულ მოსავალს იძლევა.

ყვავილოვანი კომბოსტო

ხანმოკლე დროით დაუზიანებლად იტანს 15°C და უფრო დაბალ ტემპერატურასაც. ადვილად ხარობს ნოყიერ და კარგად დამუშავებულ ნიადაგზე. სახეობებიდან ყველაზე ფართოდ გავრცელებულია თეთრთავიანი კ. სამომხმარებლო ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა ყვავილოვან კ-სა და ბროკოლზე. ამჟამად საქართველოში სხვა ქვეყნებიდან შემოდის კ-ს შემდეგი ჰეტეროზისული ჰიბრიდები: თეთრთავიანი კ. [ჯეტოდორი (F^1), მირორი (F^1), რეაქტორი (F^1), სოკრატესი (F^1), ნოვატორი (F^1), ზენონი (F^1), კარმა (F^1), სელმა (F^1) და სხვ]; ყვავილოვანი კ. [ნაუტილუსი (F^1), ბრიუსი (F^1), ამერიგო (F^1), კადილაკი (F^1) და სხვ.], ბროკოლი [სამურაი (F^1), არკადია (F^1), მონოპოლი (F^1), მონაკო (F^1) და სხვ.], პეკინის კ. [სპრინსკინი (F^1), სუპრინი (F^1), ჯანინი (F^1) და სხვ.].

კ-ს ჩითილით მოყვანა ყველაზე გავრცელებული წესია. ჩითილი გამოჰყავთ კვალსათბურში, ცივ და თბილ საჩითილეებში, ღია გრუნტზე.

კ-ს დაავადებებია: კ-ს შავფეხა, ალტერნარიოზი, ჭრაქი, ნაცრისფერი და თეთრი სიდამპლე.

ლიტ.: კ ვ ა ჭ ა ძ ე გ., მებოსტნეობა, თბ., 1965; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ვ., მებოსტნეობა, თბ., 2016.

გ. კვაჭაძე

ვ. ჯაფარიძე